

ოქმი

ქ.ცაგერი

17 ივლისი 2020 წელი

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა.

სხდომას ხელმძღვანელობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის

მერი ა.უგრეხელიძე

მდივანი ი.თავაძე

ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: მ.ახვლედიანი, ნ.მიქაძე, ე.ფუტკარაძე, მ.ხუბუკელაშვილი, ც.მანდარია, თ. ბურჯალიანი და ნ.ხვადაგიანი

სხდომას ესწრებოდნენ: მერის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ზ.ხეცურიანი, მ.ლეთოდიანი, ს.გვიშიანი .

დღის წესრიგი

მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შესახებ.

მომხსენებელი: ს.გვიშიანი მერიის ინფრასტრუქტურისა და

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

მოისმინეს: მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შესახებ.

მომხსენებელი: ს.გვიშიანი მერიის ინფრასტრუქტურისა და

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

მომხსენებელმა დაწვრილებით ისაუბრა იმ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელიც მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს, საბჭოს წევრებს გააცნო ის ხელის შემშლელი და დამაბრკოლებელი გარემოებები, რომელიც ხელს უშლის პროექტების განხორციელებას. ყურადღება გაამახვილა ღონისძიებებზე, რომელსაც მერია და მერიის ზედამხედველობის ახორციელებს კონტრაქტორთა მიმართ. რის შედეგადაც მარტო საჯარიმო სანქციების სახით ამოღებულია 70 000 (სამოცდა ათი ათასი) ლარზე მეტი. საუბარი შეეხო ქ. ცაგერისა და ქვ ცაგერის ქუჩების ასფალტირების, საკანალიზაციო სისტემების ,

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს. პროექტთა პრიორიტეტულობა და ბენეფიციართა რაოდენობა განსაზღვრის კრიტერიუმების დახვეწას.

აზრი გამოთქვას: ა.ფუტკარაძემ, მ.ხუბუკელაშვილმა, ი.თავაძემ, ნ.მიქაძემ,
ზ.ხეცურიანმა, მ.ლეთოდინამ, ა.უგრეხელიძემ.

საბჭომ დაადგინა რეკომენდაციები:

დაისვას ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ინფრასტრუქტურულ პროექტების შესრულების ხარისხს. შესაბამისმა სამსახურებმა გაამკაცროს მოთხოვნები კონტრაქტორების მიმართ.

ბ) პროექტის განხორციელებისას უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული მოსახლეობა იმ არეალისა სადაც პროექტი ხორციელდება და რომლითაც ამ ბენეფიციარებმა უნდა ისარგებლონ.

გ) დასვას საკითხი საკრებულოს ხელმძღვანელობის წინაშე, რომ კანონით დადგენილი ფორმით მოხდეს პროექტის განხორციელების ზედამხედველობაში საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა.

დ) მოსახლეობამ უფრო მეტი უნდა იცოდეს თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ პროექტების განხორციელების საკითხებში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მერიის შესაბამისი სამსახურების გააქტიურება, რათა უფრო მეტი ახსნა-განმარტება და შემეცნებითი ინფორმაცია მიეწოდოს მოსახლეობას.

სხდომის თავმჯდომარე



ა.უგრეხელიძე

სხდომის მდივანი



ი.თავაძე